საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №51

2011 წ. „05“ 05

ქ. თბილისი

შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობების განსაზღვრის შესახებ

შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 5 მაისის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1341-ით.

2. შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 631-ით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 5 მაისის №6 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

კახი ყურაშვილი
საბჭოს თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
საბჭოს მდივანი